# სახალხო გაზეთი

№ 414 სამშაბათი, 20 სექტემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 404

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. საშულღვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადების მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედ ქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გ რდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5—ან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ იხსნება; იხსნება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მიხვალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: ... ლებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо ...ети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



„სახალხო გაზეთი“

სურათებიანი დამატებით

1 ენკენისთვიდან წლის ბოლომდე

ღირს 3 მან. 20 კაპ

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი“. (П. Я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

დ. ყვირილაში

„ორპანის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა

„სახალხო გაზეთზე“ აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად


კნეინა დარია ლევანის ასული და კნეინა ეკატერინე სვიმონის ასული ანდრონიკაშვილებისა, კნეინა ეკატერინე და კნეინა ელენე ალექსანდრეს ასულნი და თავადი ილია მიხეილის ძე თარხან მოურავი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგთ, რომ ამა ენკენისთვის ოცში იქნება გარდაცვლილი წლის წირვა და პანაშვიდი საყვარელისა და დაუვიწყარის პირველის—შვილისა მეორის—მეუღლისა, მესამის—ძმისა და ცოლის ძმის

თ-დ გიორგი ალექსანდრეს ძის ანდრონიკაშვილისა.

წირვა და პანაშვიდი იქნება შესრულებული იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში, ყორღანოვის ქუჩაზე, სადაც დაკრძალულია განსვენებული. დასაწყისი 9½ საათზე. (2—828—2)

სოლომონ პეტრეს ძე და ეკატერინე პეტრეს ასული შვილებითურთ: ვასილ და ანტონ სოლომონის ძენი თამარაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხვალ, ენკენისთვის 21-ს, ოთხშაბათს, დილის 10 საათზე, ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გარდახდილ იქნება პირველად წირვა და პანაშვიდი საყვარელისა და დაუვიწყარის პირველის—ძმის, მეორის—მაზლის და—ბიძის

მღ. მიხეილ თამარაშვილის

გმირულად ზღვის ზვირთებში სხვის მოსარჩლედ დაღუპულ აგარაკ სანტა-მარინელლაში (რომის მახლობლად) სულის მოსახსენებლად და სთხოვს მის ხსოვნის პატივისმცემელთ დაესწრონ ღვთის მსახურებას. (1—834—1)

ოთხშაბათს, 21 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ტფილისის რომის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში (კათოლიკეთა ქუჩა, შუა ბაზარი) დანიშნულია წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაღუპულ ცნობილ საქართველოს ისტორიკოსის მღვდლის

მიხეილ თამარაშვილის

(თ ა მ ა რ ა ტ ი)

სულის მოსახსენებლად, რომელიც ზღვაში გმირულად მიეშველა მუშას სამკურნალო სადგურთან, სანტა-მარინელას (იტალიაშია) მახლობლად, რასაც ეკლესიის სამზრუნველო აუწყებს განსვენებულის პატივისმცემელთ. (1.833.1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქვენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკისა-ფირმუთოვისა ლ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., 10½—11 ს.

ძბვთაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვა ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ.,

მზარეულოვი მ. ა.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

სოსნოვსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულხანოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სხ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606“-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით. (წ.—1039—563)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ოთხშაბათს, 21 ენკენისთვეს,

ელ. ანდრონიკაშვილი და შალვა დადიანი სცენის მოყვარ. დახმარებით გამართავენ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ლ. ტოლსტოის რომანიდან გადმოკეთებული პიესა

პირველად ტფილისის სცენაზე ა ღ დ გ ო მ ა, 5 მოქმედ. და 7 სურათად.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ე. ანდრონიკაშვილი, მ. გოგოლაშვილი, კახელი; ბ-ნნი: ანაშვილი, ბაქრაძე, დადიანი, ა. მეტრეველი, სვანელი, ტარასი, პანკვატაძე და სხვა. ადგილების ფასი 1 მან. 15 კაპ.-დე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. დასაწყისი საღ. 8 ს. (2.836.1)

ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

სამშაბათს, 20 ენკენისთვეს, 1911 წ.

## ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

ქართულ საზაფხულო თეატრის სცენაზე გაიმართება:

კ ო ნ ც ე რ ტ ი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ნ. ა. პრესნიკოვისა, ე. ნ. სტეფანისა და ბ.ბ. პ. ს. ბუტი და ყ ს. ცხომელიძე. დასაწყისი საღ. 9 ს.

სტუმრები გადიხდიან: კაც. 1 მ., ქალ. 50 კ., სტუდ. 25 კ. ბაღში უკრავს სიმებიანი ორკესტრი. კონცერტს შემდეგ ლოტო. ანონსი: ოთხშაბათს და პარასკევს, 21 და 23 ენკენისთვეს, ს ა ფ ი ლ ო ტ ო. (1—1574—1)

## საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყო 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—142)

გორის ქალაქის საზოგადო სამმართველო

გორის მოქალაქეთა საყურადღებოდ ამით აცხადებს, რომ სექტემბრის 29-ს, დილის 11 საათზე, დანიშნულია სახლის პატრონთა კრება, ერთის რწმუნებულისა და 5 კანდიდატის ასარჩევად, იმათ მაგიერ, რომელნიც საგუბერნიო საკრებულომ არ დაამტკიცა. (3.1512.1)

ა. შ ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი ს

„შ ვ ე ბ ი ს თ ა ვ ა დ ი“

ფასი 60 კაპ.

„სახალხო გაზ.“ ხელის მომწერთათვის 40 კაპ.; იყიდება ყველგან. საწყობი: ქართვ. ამხან. სტამბაში (ვანქის ქ., № 12) გამომცემელ მ. ნემსაძესთან. (10—7)

მიიღება ხელის მოწერა მხოლოდ 1 ოქტომბრამდე

## ა რ ჩ ი ლ ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს

თხზულებათა მე-4 წიგნზე

„წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან“ 1901-2 წ.“

ფასი ხელის მომწერთათვის 35 კაპ.

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ა. მ. ასპიზოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1.

მოსხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.

კალმიკროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლაბდნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველდღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

სუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირაუქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვოთშორიოვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა ა. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ჭალამქარიოვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—98)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

მ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½ს.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. სოსნოვსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით. (წ.—1090—161)

ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 (—137)

ექიმი ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი ... (—)

მედიცინის დოქტორი

ი. გ. ჩუდნოვსკი

კიროჩნი ქ., სახ. № 13, ტელეფონი 1090

ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ

იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე დილის 9—11 ს. საღამოს 5—8 ს.-მდე. (20—1420—20)

ექიმი ივ. გომართელი.

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება დილით 8—12 საათ. საღამოთი 5—7 ს.-მდე.

ვერაზე, ოლღას ქუჩა, № 20. (თ.—813—5)

ექიმი ბ. ნ. მამაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და ნაწლებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.) და 5—7 ს. (ხაზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—28

ექიმი მიხეილ ალაჯანოვი

სპეციალისტი საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებათა, დ ა ბ რ უ ნ დ ა, და განახლა ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 1—4 საათამდე და საღამოს 7—9 ს.-დე მიხეილის ქ., ტელეფ. 38, (10.1496.5)

ექიმი ი. ი. მინასიანცი.

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathien-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

გლიბაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—14)

ექიმი პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი

შინაგან და ბავშვებ ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.822.3)

ექიმი ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-შანტურიასი

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.

ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—31)

ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. ჯოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

ექიმი შ. ა. მ ი ქ ე ლ ა ძ ე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე.

ელექტრონისა და რენტგენის ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—109)

სექტემბრის 20-დან

ი ხ ს ნ ე ბ ა

ქ. ტფილისში

ნოტარიუსის კანტორა

მიხეილ ლავრენტის ძის

ქ ა რ თ ვ ე ლ ო ვ ი ს ა.

განოვის ქუჩა, სახ. № 4. (6.1509.2)

## დ ა ე კ ა რ გ ე

7 ენკენისთვეს ორკლიტიანი პორტფელი, რომელშიაც საჭირო ქაღალდები ეწყო.

მპოვნელი საჩუქარს მიიღებს, თუ მოიტანს „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში. (1—1)




(25—1456—16)

## ტფილისი, 20 სექტემბერი

იტალია და ტრიპოლი

იმ დროს, როდესაც მთელი მსოფლიო გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა გერმანია-საფრანგეთის მოლაპარაკებას მაროკოს გამო და ჰხარობდა, ატეხილი დავა თავდება, უომრად სრულიად მოულოდნელად იტალიასა და ოსმალეთს შორის ომი დაიწყო. ომის მიზეზად ჩრდილოეთ აფრიკის ერთ-ერთი ნაწილი გახდა—ტრიპოლი და კირენაიკა. დღეს-დღეობით, გარდა ამ ქვეყნისა, მთელი ჩრდილოეთი აფრიკა დანაწილებულია ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის: ეგვიპტე ინგლისის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება, ტუნისი და ალჟირი საფრანგეთის სამფლობელოს წარმოადგენს, მაროკოც საფრანგეთის გავლენის ქვეშ იმყოფება, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურადაც. დარჩა მხოლოდ ტრიპოლი და კირენაიკა, რომელიც ეგვიპტესა და ტუნისის შუა მდებარეობს და რომელიც პოლიტიკურად ოსმალეთს ექვემდებარებოდა.

ტრიპოლი სივრცით ძლიერ დიდი—ერთ მილიონ ოთხ-კუთხ ვერს აღემატება, — მაგრამ მცხოვრებთა რიცხვი, შედარებით, ძლიერ მცირე ჰყავს—მხოლოდ ერთი მილიონი. მცხოვრებთა უმეტესობა ბერბერები და არაბებია, სარწმუნოებით მაჰმადიანნი.

იმ დროს, როდესაც მთელმა ევროპამ იმპერიალისტური პოლიტიკა შეითვისა და ახალშენების შეძენას შეუდგა, როდესაც საფრანგეთმა ჩრდილოეთ აფრიკის მაღალი ნახევარი დაისაკუთრა, მისმა მეზობელმა იტალიამ ტრიპოლის მუშტრის თვალით დაუწყო ცქერა, რომელიც მართალია ბევრად უფრო ღარიბია ტუნისსა, ალჟირსა და მაროკკოზე, მაგრამ იტალიისათვის, რომელსაც თითქმის სრულიად არა აქვს ახალშენები, გემრიელ ლუკმას წარმოადგენს. განსაკუთრებით საინტერესო შეიქნა ტრიპოლი იტალიისთვის იმიტომა, რომ მისგან ძლიერ ახლოს არის; ამ უკანასკნელმა ფაქტორმა დიდი როლი ითამაშა ტრიპოლისათვის ომის დაწყებაში.

საქმე ისაა, რომ იტალიიდან ყოველ წლიურად 800 ათასამდე იტალიელი სახლდება ხოლმე უმთავრესად სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებში. ეს აუარებელი იტალიელი მეტროპოლიისათვის სრულიად დაკარგულია და, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იტალიაში 34 მილიონი მცხოვრებია, ყველასათვის ცხადი იქმნება, რომ ყოველ წლიურად 800 ათასი ადამიანის დაკარგვა ასეთ სახელმწიფოსათვის ძლიერ საგრძნობელია. აი, სწორედ ამ მიზნით იტალიისათვის ტრიპოლი დიდ ღირებულობას წარმოადგენს. მეტროპოლიიდან ახლოს იქნება უზარმაზარი ახალშენი, სადაც შესაძლებელია იტალიელები გადასახლდენ.

ამას თუ ეკონომიურ ინტერესებსაც დავუმატებთ, ყველა ნათლად წარმოიდგენს, თუ რით აინტერესებდა იტალიას ტრიპოლი. საჭირო იყო მხოლოდ დროს შერჩევა, ისეთი დროსა, როდესაც იტალიისათვის ადვილი იქმნებოდა ტრიპოლის დაჭერა და ასეთი დროც ხელად იგდო იტალიამ. სამხედრო ძალა იტალიისა და ოსმალეთისა დიდით არ განსხვავდება ერთმეორისაგან. ორივე სახელმწიფოს ძლიერი ჯარი ჰყავს, მაგრამ ამ ჯარებს, საქმეა, შეტაკება მოუვიდეთ ხმელეთზე იტალიისა და ოსმალეთის საზღვრები ერთმანეთს არ ეხება. ოსმალეთს თვით ტრიპოლში ჯარი თითქმის არა ჰყავს და ვერც ამ ჯარის გაძლიერება შეუძლიან, ვინაიდან ოს-

მალეთისა და ტრიპოლის შუა მდებარეობს ნეიტრალური ეგვიპტე, რომელიც ინგლისის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება და რომელიც არას დროს მისცემს ნებას ოსმალეთს მისთვის სამფლობელოში ჯარი გადაატაროს. ზღვაზე კი ახლა იტალია ბევრად უფრო ძლიერია ოსმალეთზე, ასე რომ აქ მათი შეტაკება შეუძლებელიც არის: ოსმალეთის ფლოტი თავის ნავთსადგურებს ვერ დასტოვებს იმის შიშით, რომ სრულიად განადგურებული იქნება იტალიელების მიერ. ცხადია, ამ ომიდან გამარჯვებული იტალია გამოვა და თავის საწადელს აასრულებს, ტრიპოლის შეიერთებს; თუმცა თვით ტრიპოლში მას დიდხანს დასჭირდება ბრძოლა ადგილობრივ მკვიდრთა დასამშვიდებლად. საინტერესოა, თუ როგორ შეხედავენ ყველა ამას ევროპის დიდი სახელმწიფონი, ეხლანდელ მდგომარეობაში.

იტალიამ სწორედ მარჯვე დრო შეურჩია ოსმალეთს. ინგლისი და საფრანგეთი ეხლა გერმანიასთან მეტოქეობით არიან გატაცებულნი. მის გაუმაძღარ სურვილების ალაგმვა მსურთ და იტალიას ხელს არ შეუშლიან, მით უმეტესს, ტრიპოლი მათთვის სახარბიელოს არაფერს წარმოადგენს; მასთან სამთა კავშირს (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია) ერთი მოკავშირე-იტალია ამ ჟამად აკლდება, ვინაიდან თავის საქმეებში იქნება გართული. ეს, რა თქმა უნდა, გერმანიას ასუსტებს, რაც დიდად სასიამოვნო დარჩება საფრანგეთ-ინგლისისათვის. რუსეთიც არ ჩაერევა იტალია-ოსმალეთის ომში. ის არავითარ რეალურ შედეგს არა ჰხედავს თავისათვის ამ ომიდან, სანამ ბალკანეთში არ მოხდება, რაც ადვილად შესაძლებელია, რაიმე უთანხმოება და არეულობა.

ავსტრო-უნგრეთი, როგორც იტალიის მოკავშირე, მის წინააღმდეგ ვერ წავა. დარჩა გერმანია, რომელიც იტალიის საქციელმა ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა. გერმანია ყოველთვის ეხმარებოდა ოსმალეთს და მრავალჯერ გამოუყვანია იგი სახელმწიფო გასაჭირიდან, მაგრამ ამ ჟამად გერმანია ასე ვეღარ მოიქცევა, რადგანაც იტალია მისი ოფიციალური, ყველას მიერ ცნობილი, მოკავშირეა. ძალა-უნებურად გერმანიაც უნდა დაკმაყოფილდეს უბრალო მაყურებლის როლით.

იტალიის საქციელმა ერთსა და იმავე დროს კიდეც დაასუსტა გერმანია საფრანგეთთან მოლაპარაკების დროს და ოსმალეთის თანაგრძნობაც მოუსპო. ოსმალნი ხმამაღლა გაიძახიან და უსაყვედურებენ გერმანიას: როგორ ვერ დაგვიხსნა მან თავის მოკავშირე იტალიის ყაჩაღურ საქციელიდან და გაძარცვიდანო.

ამ გვარი ეხლანდელი მდგომარეობა ხელს უწყობს იტალიას მის მიერ დაწყებულ საქმეში, მაგრამ საქმე ამით როდი თავდება. შესაძლებელია იტალია-ოსმალეთის ომს ბევრი სხვა შედეგიც მოჰყვეს, ისეთი შედეგი, რომელსაც შეუძლიან მთელი ევროპა ჩარიოს ომში. მე-19 საუკუნიდან ოსმალეთი და, ეგრედ წოდებული აღმოსავლეთის საკითხი, ყოველთვის საფრთხე იყო ევროპის მშვიდობიანობისათვის და ასეთსავე საფრთხეს წარმოადგენს ეხლაც. შესაძლებელია ოსმალეთ-იტალიის ომით საბერძნეთმაც ისარგებლოს და კრიტეს შეიერთოს. ეს უსათუოდ ოსმალეთ-საბერძნეთის ომს გამოიწვევს; ალბანელებიც კვლავ აჯანყებას იწყებენ, ვინაიდან ოსმალეთის ეხლანდელმა მდგომარეობამ დამოუკიდებლობის მიღების იმედი გაუღვიძათ. ყველა ამას კი მოჰყვება ჩერნოგორიისა, სერბიისა და ბოლგარეთის მადის გაღვიძება და ოსმალეთის სისუსტით სარგებლობის სურვილი. თუ ეს სამი სახელმწიფო საქმეში ჩაერია, მაშინ ავსტრო-უნგრეთიც ჩაერევა და ავსტრო-უნგრეთის ჩარევას—რუსეთის ჩარევაც მოჰყვება.

აი, რას უქადის იტალია-ოსმალეთის ომი ევროპას. სწორედ ამიტომაც ევროპის ყველა სახელმწიფო სცდილობს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე მშვიდობიანობა არ დაირღვეს და იტალია ოსმალეთის ომი რაც შეიძლება მალე გათავდეს.

## სომხური პრესა

გაზეთ „ჰორიზონს" თავის უკანასკნელ № 204-ში მოჰყავს „თემი"-ს აზრი, რომელსაც უკვე იცნობს ჩვენი გაზეთის მკითხველი. „ჰორიზონი" სხვათა შორის სწერს:

„თუ რამდენად საფუძვლიანია ბ. დიასამიძის სიტყვები, მიმართული ქართველ ამომრჩეველთადმი, შეიძლება გავიგოთ იმ საკვირველ მოვლენიდან, რომ „სახალხო გაზეთმა" (№ 369) ვრცლად განიხილა თვისი მოწინააღმდეგის აზრები და ის დასკვნა გამოიტანა, რომ „ახალ ჯგუფთან" შეერთება პრინციპიალურად სრულიადაც არ ეწინააღმდეგება „ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის ინტერესებს". და ამას იძახის ქართველ უკიდურეს ნაციონალისტების სათავეში მდგომი „სახალხო გაზეთი"!

„ასეთი გავლენა აქვს ხოლმე ძლიერ ლოღიკას".

„ბრძანებს „ჰორიზონის" თანა რომელი ბ. ტ. ფირუმიანი.

რამდენად ჭეშმარიტი წარმოდგენა აქვს „ჰორიზონს" ბ-ნ გ. დიასამიძის „ძლიერ ლოღიკის შესახებ", ამის გამორკვევა იმისთვის მიგვინდვია, ვინც უფრო კარგად ხედავს ჩვენს ცხოვრებაში მომხდარ ამბებს, მაგრამ ის კი მაინც უნდა მოვახსენოთ პატივცემულ გაზეთს, რომ ჩვენი პოზიციის შესახებ მას არავითარი წარმოდგენა ჰქონია. „ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფი" არც წინად ყოფილა პრინციპიალურად წინააღმდეგი შეკავშირებისა, შეთანხმებისა სხვა ჯგუფებთან და არც ეხლაა. ქართველ ამომრჩეველთა პირველს. მახლობელს მიზანს შეადგენდა რაც შეიძლება ბევრ ქართველ ამომრჩეველთა შეკავშირება განსაზღვრულ პროგრამის გარშემო. როდესაც ეს საკითხი გადასწყდებოდა, მაშინ ბუნებრივად დაიბადება მეორეც—საკითხი იმის შესახებ, თუ ვისთან ან რანაირის პირობით შევწყოთ შეთანხმება. ასე რომ „ძლიერი ლოღიკა" ბ-ნ გრ. დიასამიძისა ვერავითარ ზედ-გავლენას იქონიებდა როგორც ჩვენზე, ისე ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფზე...

## ახალი ამბავი

### ტფილისი

◆ ქალაქის გამგეობის ყურადღებას იმ გარემოებას მივაქცევთ, რომ **ნაძალადევში** მეორე ლაზარეთის ქუჩა და იურიევის მისახვევი სრულიად მოუკარწყლავია, და ანგრეულ-დანგრეული, სახლებს, ურმებს და დროგებსაც კი არ შეუძლიათ ახლო სახლებთან მისვლა. წვიმის დროს ხომ გავლაც შეუძლებელია და მცხოვრებნი გასაჭირს განიცდიან, საჭიროა ამ ქუჩების შეკეთება.

◆ ქალაქის სასანიტარო ექიმმა ტფილისის საქიმიო ლაბარატორიაში **ფქვილის ნიმუშები** წარადგინა, რომელიც წაუღიათ ლუარსაბ არჩვაძის თორნიდან (კუკიაში) და მაშადი-ასკერ პარვეროვის ფქვილის საწყობიდან (ჩერქეზოვის ქუჩა, 27). ფქვილში კრახმალის და სხვა ნივთიერება რეულა. ამიტომ ფქვილი უვარგისად იცნეს.

◆ **ოჯახური დრამა.** 17 სექტემბერს, მიწადმოქმედების სამმართველოს საქმის მწარმოებელ ისმაილ ბეგ მუფტი ზადეს ცოლთან ჩხუბი მოუვიდა და გალახა. ქალმა უცებ საწოლიდან გამოიღო ქმრის რევოლვერი და ქმარი ფერდში დასჭრა. შემდეგ რევოლვერი დააგდო და ეზოში გამოვარდა. ისმაილ ბეგ მუფტი ზადემ რევოლვერი აიღო და გულში დაიცა. იგი ჩქარა გარდაიცვალა. ხანუმა მუფტი ზადე შეიპყრეს.

◆ **თავის მოკვლის განზრახვით** მორიგმა პოლიციელმა, რომელიც მუხრანის ხიდთან იდგა, რევოლვერი დაიცა. მძიმედ დაჭრილი პოლიციელი სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ **ჩხუბი და ერთის კაცის მოკვლა.** 18 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, არტილერიის ხევისკენ დასეირნობდნენ ახალგაზდა შექეიფიანებული ყმაწვილები, რიცხვით 10-მდე. მოსეირნეთ უცებ ჩხუბი მოუვიდათ და ერთმანეთს ცემა-ტყეპა დაუწყეს. ერთმა მოჩხუბართაგანმა დიმიტრი იაცუნოვმა ბებუთი იძრო და განურჩევლად ყველას დაუშინა; ამ რიგად მან დასჭრა: გრიგოლ ტერ-მატინიანცი, რომელიც ისე მძიმედ იყო გულში დაჭრილი, რომ ჩქარა გარდაიცვალა, გიორგი კარტინაძე, ანატოლი კოვალევსკი და მიხეილ კასრაძე, იაცუნოვი შეიპყრეს.

◆ **ნაძალადეველი მეპურეების თავგასულობას** ბოლო არ ელება. ბაზრის ზედამხედველმა ლომიძემ 18 სექტემბერს ოქმი შეუყენა თითქმის ყველას, რადგანაც გირვანქას 4 კაპეიკიან პურს შაურად ჰყიდდენ, 3½ კაპ.—4 კაპიკად და ისიც ცომს. უვარგისია ფქვილიც, სიმინდ-ნარევი. ნაძალადევში ქალაქის მცხოვრებთა უღარიბესი ნაწილი სცხოვრობს და ამიტომ საჭიროა მეპურეების თავგასულობის წინააღმდეგ ენერგიული ზომები მიიღონ.

◆ **ქ. ბლაგოვეშჩენსკში** (ციმბირი) ქართველთა საურთიერთო **დამხმარებელი საზოგადოება გახსნილა.** წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ საზოგადოების თხოვნით, გაუგზავნა მათ ქართული წიგნებიდა ჟურნალ გაზეთები.

◆ **ქარ. სათ.-აზნაურთა გიმნაზიის** ზედამხედველმა კომიტეტმა გადასწყვიტა, **მეორე კლასის პარალელური განყოფილება გახსნას.** მიიღებენ იმ მოწაფეებს, რომელთაც წლევანდელ გამოცდაზე შესაფერი ცოდნა გამოიჩინეს.

◆ ტფილისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ 15 სექტემბრის სხდომაზე დაადგინა გადაუხადოს ნოემბრის შუა რიცხვებში **იუბილე** დამსახურებულს და ნიჭიერს მსახიობ ქალს **მარიამ მიხეილის ასულს საფაროვს-აბაშიძისას** მისი ოცდა ათი წლის ნაყოფიერ და დაუღალებელ მოღვაწეობის გამო ქართულ სცენაზე. ამ მოკლე ხანში შესდგება საიუბილეო კომიტეტი.

◆ **სეირნობა-ბაზარი** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ ავდრის გამო სხვა დროსათვის **გადაიდო.**

◆ **ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის თანაშემწემ ა. კ. დებრიგნიმ სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი მისცა.**

◆ **დაჯარიმებულ იქმნენ ხუთ-ხუთის თუმნით ქალაქის საავადმყოფო ახალ შენობის მუშები მიხეილ მასლოვსკი, ველიკომ ვორონინი და ილარიონ ბელიაევი, რომელნიც გაიფიცნენ და არც სხვებს მისცეს მუშაობის ნება. თუ ჯარიმას არ გადაიხდიან, თითო თვით დაპატიმრებენ.**

◆ **პოლიცმეისტერი სასტიკად ავალებს პოლიციელთ შეასრულონ ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც სახლის კედლებზე აფიშებისა და განცხადებების გაკვრა აკრძალულია.**

◆ **17 სექტემბერს საგუბერნიო ციხის ეზოში ტუსაღმა თევდორე ზუევმა, რომელსაც ქურდობისათვის 2½ წლით პატიმრობა, გამასწორებელ რაზმში გაგზავნა აქვს გადაწყვეტილი, რაღაც იარაღით მძიმედ დასჭრა ტუსაღი გეორგ ტერ-საკოვი, რომელსაც მკვლელობისთვისაც 4 წლის ციხე აქვს გადაწყვეტილი.**

◆ **ტფილისის ქიმიურ ლაბორატორიაში ქალაქის სასანიტარო ექიმმა წარადგინა ხანჯალაძის ქარხნის ლიმონადის ნიმუშები, რომელიც კომისიას წაუღია მანტაშოვის დუქნიდან (გოლოვინსკისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხე). გამოკვლევამ ლიმონადში [illegible], ბოთლებიც კარგად გარეცხილი არ იყო. ლიმონადი და სასმელი წყლები უვარგისად იცნეს.**

### წვრილი ამბები.

◆ **18 სექტემბერს საერთო ჩხრეკა-დაპატიმრების დროს პოლიციამ 128 მათხოვარი და უპასპორტო შეიპყრო.**

### საზოგადოებანი და კრებები.

◆ გუშინწინ სახალხო სახლში კოოპერატიულ საზოგადოება—„**მომავლის**" წევრთა საზოგადო კრება უნდა შემდგარიყო, მაგრამ წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო კრება გადაიდო.

◆ **ქართველ ამომრჩეველთა** ცენტრალურ ბიუროს უკანასკნელ კრებაზე განიხილეს და დამტკიცეს ერთი ნაწილი ხმოსანთა მომავალ მოქმედების გეგმისა.

◆ კვირას, საღამოს 8 საათზე, **ამომრჩეველთა სხვა და სხვა ჯგუფების წარმომადგენელთა კრება მოხდა.** აქ კრებას უნდა განეხილა საკითხი საქალაქო საარჩევნო საერთო კომიტეტის შედგენისა. კრებამ გადასწყვიტა დაარსდეს საინფორმაციო ბიურო, რომელშიაც ჯგუფიდან ყოველი სამ-სამი წარმომადგენელი შევა.

◆ 17 სექტემბერს, ბირჟის დარბაზში (ოქრომჭედლების ქუჩა) **ტფილისის ვაჭართა საზოგადოების წევრთა კრება მოხდა,** სადაც განიხილის საკითხი საბჭოს ხმოსნების მომავალ არჩევნების შესახებ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, როდესაც საკითხი გამოარკვიეს, გადასწყდა აირჩიონ 8 კაცისაგან შემდგარი ბიურო, რომელსაც დაევალა, თუ საჭირო იქნება, მოლაპარაკება გამართოს. ასეთი არსებულ ამომრჩეველთა ჯგუფებთან და შეთანხმება მოაწყოს. გარდა ამისა, ბიუროს დაევალა მოაწყოს ვაჭარ ამომრჩეველთა საერთო საარჩევნო კრება: ბიუროს წევრებად აირჩიეს: ა. ნ. მილოვი, ა. ა. ენფიანჯიანცი, ი. გ. გაიდამაკინი, ს. პ. მანველიანცი ხ. ტ აფრიკიანცი, მ. ი. მარტიროსიანცი, გ. ლ. ჯულეთიანცი და ს. ხ. სულხანიშვილი.

◆ **სასამართლო პალატის შემნახველ-გამსესხებელ კასის წევრთა კრება 18 სექტემბერს მოხდა. კრებაზე არჩეულ იქმნენ: გამგეობის წევრებად—ბ-ნი განჯუმოვი (თავჯდომარე), ბაბსკი, სენატარსკი. დუკიჩი (კასირი) და სარევიზიო კომისიის წევრებად: არდაზიანი, სინიავსკი და ქამთევი.**

### რკინის გზა

◆ **სადგური შალადიდი** (ბათ. გზა). 17 სექტემბერს, რამდენიმე შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველი **თავს დაესხა** სადგურს. მგზავრები გაძარცვეს. შემდეგ შეუცვივდნენ სადგურის უფროსს და სახაზინო **ფული 360 მან.** გაიტაცეს. ძლიერ სცემეს მეისრეს ხოჭოლავას და უფროს მუშა ალანიას. ყაჩაღებს ბოქაული და საერობო დარაჯები დაედევნენ.

### სომხეთა ცხოვრება.

◆ 17 ენკენისთვეს ქ. ერევანში გამოვიდა ყოველკვირეული სომხური ჟურნალი „ნორ ძაინ" (ახალი ხმა). ჟურნალი პროგრესიული მიმართულებისაა.

◆ სომხური დრამატიული საზოგადოების დასი წარმოდგენების გამართვას ოქტომბრის პირველ რიცხვებში დაიწყებს.

### სიღნაღი

◆ **წმ. ნინოს დედათა სასწავლებლიდან** ბევრი მოწაფე ქალი დაითხოვეს რადგანაც თავის დროზე არ გამოცხადნენ სასწავლებელში.

## სამგლოვიარო დეპეშა

**ახალციხე.** ადგილობრივი საზოგადოება სარწმუნოების განურჩევლად, დიდად შეაწუხა მამა მიხეილ თამარაშვილის ტრაგიკულმა სიკვდილმა, ადგილობრივ კათოლიკეთა ეკლესიაში თავი მოვიყარეთ და მისი სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადავიხადეთ.

## ზელიმ ხანის თარეში

დეპ. სააგენტო

ხმა დადის, ინჟენერთა კომისიაზე თავდასხმის დროს, **ზელიმხანის ძმა** ფეხში დასჭრესო. ყაჩაღთა ბრბო თერგის ოლქის მეხუთე ვედენის თემში დაიმალნენ, სადაც ადმინისტრაცია ყველასა სჩხრეკს, დაღესტნის პოლკის ასი ჯარისკაცი გაიგზავნა სამი აფიცრის მეთაურობით.

იმ რაზმს, რომელსაც ვედენის თემში ყაჩაღთა ბრბო ჩაუსაფრდა, ბრბოს ნაწილს შეხვდა. სროლა ასტყდა. მოკლულია ზელიმ ხანის 18 წლის ძმა, აბრაგი და ორი ცხენი. ყაჩაღებს 9 ვინტოვკა წაართვეს. ჩიკალინი სროლის დროს გამოიქცა. რაზმში არავინ დაჭრილა.

## წერილი
## ქართლიდან

როგორც ვიცით, მიწის მფლობელობის საქმე არსად არის ისე არეულ-დარეული, როგორც საქართველოში. მიწის მფლობელობის მრავალნაირი ფორმები დღევანდლამდე გამოურკვეველ მდგომარეობაში სტოვებს ქართველ გლეხობას. ქუთაისის გუბერნიაში თითქმის ყველა დროებით ვალდებულმა გლეხებმა თავი დაიხსნეს მემამულეთაგან, ტფილისის გუბერნიაში კი დროებით ვალდებულ გლეხების მეტს ნაწილს და თვით მემამულეთაც ყურიც კი არ გაუბერტყნიათ ამისთვის. დღემდე მოსავლის მეოთხედს ახდევინებენ, რის გამოც ურთიერთობა მემამულეთა და ვალდებულ გლეხთა შორის გამწვავებულია და ყოველ ლალის აღების დროს დიდს აურ-ზაურს იწვევს.

ჯერ კიდევ შარშან ნამესტნიკის კანცელარიამ პროექტი შეიტანა ნამესტნიკისავე საბჭოში, დროებით ვალდებულ გლეხთა გამოსყიდვის თაობაზე. ამ საკითხს ხიზნების საკითხიც გვერდში ამოუყენა, ე. ი. პროექტი წესდებისა აგრეთვე სავალდებულოდ ხდიდა მთლად იმ მამულების გამოსყიდვასაც, რომელიც ხიზნებს უჭირავთ. ხიზნებად კი იწოდებიან ის გლეხები, რომლებიც საბატონო მამულებზე 1891 წლის 3 ივნისამდე დასახლებულან და არავითარი ხელშეკრულობა დაუდვიათ მემამულეებთან.

ეს პროექტი საბჭომ ერთის წლის წინად, საგანგებოდ გამოგზავნილ სენატორის თანადასწრებით, განიხილა.

ამნაირმა მოულოდნელმა პროექტმა დიდი აურ-ზაური გამოიწვია თავად-აზნაურობაში და საბჭოს ტფ. გუბერნიის თავად-აზნ. წინამძღოლებმა ამ საქმის გამო ვრცელი მოხსენებაც წარუდგინეს. მოხსენების ავტორთ უსამართლოებად მიაჩნიათ პროექტის მიერ დროებით ვალდებულ გლეხთა და ხიზანთა საკითხის დაკავშირება, ვინაიდგან ტფ. გუბერნიაში მათი რიცხვი, რომლებიც თავიანთ თავს ხიზნებს უწოდებენ, 4348 კომლს უდრის. (აქედან ¼ ქართველია, ხოლო ¾—ოსი) და თუ იმ მამულის გამოსყიდვა, რომლითაც 4348 კომლი სარგებლობს, სავალდებულო იქნება, მემამულეების მეტი ნაწილი მთლად უმამულოდ დარჩებაო.

ამ მიწების სავალდებულო გამოსყიდვის პროექტმა სოფლელთა ყურამდე ბევრად უფრო ბუნდოვანად მიაღწია. გლეხების უმეტესობა დარწმუნებულია, ის სახიზნო მამულები, რომლებითაც ვსარგებლობთ მთავრობისაგან, სრულიად უსასყიდლოდ საკუთრებად მოგვეცემაო. ამის გამო სცდილობენ თავიანთი მფლობელობა გააფართოვონ და არ ერიდებიან, თუ ვისიმე სხვის მფლობელობას დაარღვევენ. ხიზნად დამტკიცებული გლეხი, დარწმუნებულია, რომ მესაკუთრედაც დამტკიცდა, მამულის ყიდვის თაობაზე აღარა ჰფიქრობს. ეს არის მიზეზი, რომ ქართლის ბევრ სოფელში მემამულეებმა შუამდგომლობა აღძრეს, ხიზნები აჰყარეთო.

ტფ. გუბერნიის თავ.-აზ. წინამძღოლთა მოხსენების წარდგენის შემდეგ, თითქმის ერთმა წელმა განვლო და ეს საკითხი კვლავ აღიძრა. სწორედ ამ მიზნით 1 სექტემბერს სადგომში სამინისტროს წარმომადგენელი მ. მ. ბ-ნი ტიბენკოვი მოვიდა.

ბ-ნი ტიბენკოვი გორის მაზრის თ.-აზ. წინამძღოლის ნ. ა. თავ. თუმანიშვილთან ერთად სადგურიდან გორის თ.-აზ. სინდიკატის სადგომისკენ გაემართა, [illegible] უცდიდა მომრიგებელი [illegible] თავ. გ. ნ. ვეზირიშვილი და საგანგებოდ დაბარებული ხიზანი-გლეხები. ყრილობა შესდგებოდა ოსებისაგან და ორიოდე ქართველ გლეხისაგან, ეს უკანასკნელნი სრულიად შემთხვევით მიხეტებულიყვნენ. მისვლისთანავე ბ-ნმა ტიბენკოვმა ბოქაულის საშუალებით გაჰყო ოსი გლეხები ქართველ გლეხებისაგან და შემდეგის სიტყვებით მიჰმართა:

„მემამულეთა და ხიზან გლეხთა შორის დღევანდლამდე არსებულმა უთანხმოებამ უკიდურესობამდე მიაღწია და მთავრობა იძულებული გახდა თვითონ ჩაერიოს ამ საქმეში და შეიმუშავოს ისეთი კანონი, რომლითაც შეიძლებოდეს, ერთხელ და სამუდამოდ მოსპობა ერთი მეორისაგან დამოკიდებულებისა, ისე კი, რომ გულნაკლული არ დარჩეს არც მემამულე და არც ხიზანი სწორედ ამის გულისათვის ვარ მთავრობისაგან გამოგზავნილი. გუშინ მივმართე თავად-აზნაურობას და აგრეთვე მოგმართავთ თქვენც. იმედია, ჩემს კითხვებზე პასუხს მომცემთ და მით ნათელს მოჰფენთ აღნიშნულ საქმეს".

შემდეგ კითხვების მიცემა დაუწყო.

— ამ რამდენიმე წლის წინად მთავრობამ თქვენთვის, გლეხთათვის, გახსნა საგლეხო ბანკის განყოფილება, იცით თუ არა? და თუ იცით, რატომ არ გინდათ მისი საშუალებით მამულები იყიდოთ?

— რა ვქნათ, შენი ჭირიმე, ბატონები ძალიან ძვირად გვიფასებენ მამულსა, დესეტინას ათ თუმნად გაიძახიან და მამული კი ათი მანეთიც არა ღირს.

ერთმა მემამულემ ეს გარემოება იმითი ახსნა, რომ საგლეხო ბანკის დამფასებლები უფრო ხშირად იმ ფასში არ აფასებენ რამდენსაც გლეხები თხოულობენ სესხად, თუნდაც მამული ერთი ორად მეტი ღირდეს. რა მოსაზრებით ხელმძღვანელობენ ეს პირნი, არ ვიცითო.

— არიან თუ არა თქვენში ისეთი ხიზნები, რომლებიც ერთი მემამულის მონადელენი იყვნენ და მეორე მემამულესთან კი ხიზნებათ ირიცხებოდნენ?—განაგრძო ბ-ნმა ტიბენკოვმა.

— არა, შენი ჭირიმე,—უპასუხეს გლეხებმა. თუმცა შემდეგ გამოირკვა რომ ბევრს ხიზანს ნადელიცა ჰქონია.

— არ გირჩევნიათ, ეს სახიზნო სახნავი მიწები ხაზინამ იყიდოს და შემდეგ თქვენ მოგყიდოთ?

— ოღონდ სახელმწიფო კაცმა დააფასოს და ჩვენ მაშინვე ფულს მივცემთ; თორემ ბატონები თავიანთ ნებით ბევრს გვიფასებენ.—მიუგო ორმა, ჭაღარა შერეულმა

— დასთანხმდებით თუ არა, რაც სახიზნო სახნავი მიწები გიჭირავთ იმის მეოთხედი სრულიად უსასყიდლოდ საკუთრებად მოგეცეთ, დანარჩენი მიწები კი გაანთავისუფლოთ მემამულეებსა?

ეს კითხვა ცოტა არ იყოს არ მოეწონათ:

— არა, შენი ჭირიმე, თუ მოგვეცემა სულ, თუ არა და მეოთხედი არ გვინდა!

15 წუთის თათბირის შემდეგ გლეხებმა ბ-ნ ტიბენკოვს გამოუცხადეს, ისინი თანახმანი არიან ხაზინის მიერ სახაზინო მიწების გამოსყიდვისა და შემდეგ ხაზინიდან შესყიდვისა.

ბ-ნი ტიბენკოვი გამოეთხოვა გლეხებს და უთხრა: „რადგანაც შეიძლება ამ კანონის გამოცემამ დაიგვიანოს, თქვენ დროს ნუ დაჰკარგავთ და მამულები საგლეხო ბანკის საშუალებით იყიდეთო"

ამ საკითხს ნათელი მოეფინა თუ არა—ჩვენთვის ჯერ-ჯერობით საიდუმლოებას შეადგენს. და ის კი ცხადია, რომ წინად დიდის იმედებით აღჭურვილი გლეხები, ახლა თავის ფხანით დაიშალენ.

**დემონი.**

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი.

17 სექტემბერი.

**სტამბოლი.** საღამოს 10 საათზე იტალიამ ოსმალეთს ომი გამოუცხადა. თერთმეტის ნახევარზე იტალიამ ბენგაზსა და ტრიპოლიში ჯარი გადასხა.

ხაკი-ფაშას კაბინეთი გადადგა. დიდ ვეზირად სენატის პრეზიდენტი საიდ-ფაშა დანიშნეს, გარეშე საქმეთა მინისტრად -დიდ ვეზირად ნამყოფი —კიამილ-ფაშა, სამხედრო მინისტრი მაჰმუდ-შევკეთი დარჩა.

**სალონიკი.** იტალიის ჯავშნოსანმა ნავთსადგურ პრევეზში (ოსმალეთის ეპირი) ოსმალეთის ნაღმოსანი გემი შემუსრა და რაზმი გადასხა. მთავრობა პრევეზის ერთს ბატალიონსა ჰგზავნის.

**სტამბოლი.** საპასუხო ნოტაში მთავრობა აცხადებს, ტრიპოლიში წესიერება არ ჴარღვეულაო. კონსტიტუციურმა ოსმალეთმა 3 წლის ვადაზე იტალიის საეკონომიო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ვერ შესძლო. ოსმალეთს სამხარ იარაღისა და ჯარის გაგზავნის ნება ჰქონდა, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. მინისტრთა საბჭომ საპ-ტიკი ბრძანება გასცა, წესიერება დაიცავითო.

**ბერლინი.** ოსმალეთში მცხოვრებ იტალიელების დაცვა გერმანიამ იკისრა.

**რომი.** „ტრიბუნა" ამბობს, ოსმალეთის პასუხი სცდილობს იტალიის ჯარის გადასხმის დრო დაკარგვინოს. გარეშე საქმეთა სამინისტრომ ოსმალეთის დესპანს პასპორტი ჩააბარა და განსაკუთრებული ვაგონი მიუჩინა.

„ტრიბუნას" სიტყვით, ომს ტრიპოლის ახლოს მცურავი ესკადრა დაიწყებს, შემდეგ სამხედრო ექსპედიცია დაიწყება გენერალ კავეზის მეთაურობით.

**ტრიპოლი.** წუხელ ოსმალონი და არაბნი ძალიან აღელვებულნი იყვნენ. მცხოვრებნი ზღვის პირასა და ფერდობებზე გამოიშალნენ. იტალიის გემების მოსვლამდე, ევროპიელნი თავ-თავიანთ საელჩოს შეეხიზნენ. იტალიელები ნაღმოსან გემებზე გადასხეს. დილის 11 საათზე იტალიის პირველი ნაღმოსანი მოვიდა. რაზმის უფროსი ნაპირს გადავიდა.

**ვენა.** „ნეიე-ფრეიე-პრესსეს" თანამშრომელს იტალია - ოსმალეთის საქმის მცოდნე დიპლომატისაგან, გაუგია, შესაძლებელია ომამდის არ მივიდეს საქმეო.

**სტამბოლი.** გუშინ მინისტრთა საბჭოს სხდომის დაწყებამდე, სასახლეში იტალიის საელჩოს პირველი დრაგომანი მივიდა და ამნაირი გაცხადება მიუტანა: „მეფის მთავრობის მიერ მიცემული ვადა გავიდა, დამაკმაყოფილებელი პასუხი არ არის, რაიცა იმპერატორის მთავრობის არა კეთილ განზრახვასა, ან კიდევ უძლურებას ამტკიცებს; ამის საბუთი ბევრია, განსაკუთრებით ტრიპოლისა და კირენაიკაში იტალიის ინტერესების საქმეში. ამიტომ მეფის მთავრობა იძულებულია თავის უფლებასა, ინტერესსა, ღირსებასა და პატიოსანი სახელისათვის იზრუნოს. რაც ეხლა მოხდება იმპერატორის მთავრობის ხანგრძლივ მოღვაწეობის შედეგად უნდა ალვიაროთ. მეგობრობასა და მშვიდობიან ურთიერთობას იტალიასა და ოსმალეთს შორის ადგილი აღარა აქვს და ამიერიდან ისინი მეომარი მხარეები არიან. რომში მყოფს დესპანს პასპორტს ჩააბარებენ. იტალიის დესპანმა მოითხოვა, პასპორტი ჩქარა ჩამაბარეთო. თანაც გამოაცხადა ოტომანთა ქვეშევრდომთ შეუძლიანთ ოსმალეთში დარჩნენ, მათი სიცოცხლე და ქონება უზრუნველ-ყოფილიაო.

მთავრობამ კაბინეთის გადაყენება გამოაცხადა. შესდგა ახალი სამინისტრო: საიდისა და კიამილის გარდა, პორტფელი მიიღო: სამხედრო—მაჰმუდ შევკეთ-ფაშამ, შინაგან საქმეთა—ქილმი-ფაშამ, საზოგადო საშუშაოთა—ნარადუნგიონმა.

ხმა დადის, როდესაც იტალიის ჯარი ნაპირას გადაჰყავდათ, ბატარეიამ სროლით ორი კატარღა ჩაძირაო. ოსმალები იტყობინებიან იტალიელებს პრევეზას (ალბანეთში) უნდოდათ გადასვლა, მაგრამ ოსმალებმა უკუაქციესო. ოსმალეთის ფლოტი სამოსთან არის. სადაც იტალიის ესკადრაა.

ბრბომ დიდ-ვეზირად ნამყოფ ხაკი-ფაშას ფანჯრები ჩაუმტვრია.

**ტრიპოლი.** იტალიის ჯარი გადმოდის.

**სტამბოლი.** ცნობა, საიდ-ფაშამ კაბინეთის შედგენა იკისრაო. ოსმალეთის ცნობით, იტალიის ერთი კრეისერი ტრიპოლიში კლდეს წააწყდა. იტალიის ესკადრა დარდანელს მიუახლოვდა და ოსმალეთის ფლოტს ზღვაზე გზა მოუჭრა.

ინგლისის მთავრობამ ოსმალეთის გემებზე მყოფ თავის ოფიცრებს უბრძანა, გემები დასტოვეთო.

**ათინა.** არტის ყურედან იტყობინებიან, იტალიის კრეისერები ოსმალეთის საბარგო გემებს სროლით დაედევნა. ოსმალეთის გემები პრევეზის ნაპირს შეეფარნენ (ოსმალეთ. პირში).

**რომი.** გაზეთებმა გუშინ საჩქარო დამატება გამოუშვეს, რომლებიც ხალხმა დაიტაცა. მანიფესტანტები ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს იტალიის, არმიასა და ფლოტსაო" ისინი კვირინალის, გარეშე საქმეთა, სამხედრო სამინისტროს და ვიქტორ-ემანუილის ძეგლის წინ დადიოდნენ.

**სტამბოლი.** კაბინეთის შედგენა გაძნელდა. საიდ-ფაშა, რომელმაც მისი შედგენა იკისრა, ამბობს, საზოგადოლოდე გადამიწყვეტიაო.

**სტამბოლი.** საიდ-ფაშამ მოქმედების სრული თავისუფლება მიიღო და სავეზირო ჩაიბარა. სულთანმა ირადეს ხელი მოაწერა. შეიხ-ულ-ისლამად ისევ მუსსა-კიაზიმი დაინიშნა.

**ლონდონი.** „დეილი-ქრონიკს" ტრიპოლიდან ატყობინებენ, „გარიბალდინოს" გემის აფიცერმა ოსმალეთის ჯარის უფროსი ინახულა და მთელი გარნიზონის დამორჩილება მოსთხოვა. უფროსმა უარი უთხრა.

**რომი.** საერთაშორისო შეთანხმების ძალით, ტრიპოლის ყუმბარებს დაუშენენ მხოლოდ დამორჩილების წინადადების გამოცხადებიდან 24 საათის შემდეგ. ეს ვადა დღეს, საღამოს 6 საათზე, თავდება. ომიც მხოლოდ მაშინ დაიწყება.

**სოფია.** ბულგარეთის წრეებში ომის გამოცხადების ამბავს მშვიდად შეხვდნენ. საგულისხმოა, გარეშე საქმეთა აწეწდაწეწვა შინაურ საქმეებზე როგორ იმოქმედებსო.

**რომი.** საზღვაო სამინისტროში ცნობა მიიღეს, ოსმალეთის ნაღმოსნები პრევეზასთან თავს იყრის, ადრიატიის ზღვაზე იმ იტალიის გემებსა და ქალაქებზე დასაცემად, რომელთაც თავის დაცვა არ შეუძლიანთ. ამის ასაცილებლად ზომებია მიღებული. ჰერცოგმა აბრუცსკიმ 16 სექტემბერს დეპეშით შეატყობინა, ის კრეისერი, რომელზედაც მე ვარ, პრევეზასთან გაჩერდაო. უმავთულო ტელეგრაფით შეატყობინეს, ოსმალეთის ორმა ნაღმოსანმა პრევეზასთან გაიარაო. იტალიის გემები უკან დაედევნა. რამდენიმე სროლის შემდეგ, ოსმალეთის ნაღმოსანი ნაპირს გაირიყა და ცეცხლი მოედო. მეორე ნაღმოსანი სტამბოლის პრევეზეტს უვნებლად დაბრუნდა.

**სტამბოლი.** იტალიის ელჩებმა ბრძანება მიიღეს, ოსმალეთი დასტოვეთო.

**ვენა.** ოსმალეთის საელჩომ „ცაიტს" დაავალა, გამოაცხადოს: „ოსმალეთის მთავრობა იმ აზრის ადგია, რომ იგი მოვალეა ტრიპოლიში ოსმალეთის სუვერენობა ყოველის ზომით დაიცვას, რომელშიაც, სხვათა შორის, შეიარაღებული წინააღმდეგობაც შედის. ოსმალეთის მთავრობა მოვალეობას აასრულებს.

**მალტა.** იტალიის ელჩები ბოლონიეზი და პიაჩეშინი 14 სექტემბერს ბენგაზის მოვიდნენ. ხალხი საელჩოში შესვლას უშლიდა. ოსმალელ გუბერნატორის ბრძანების მიუხედავად, ბრბომ ელჩების ნივთები მაინც ჰიაბნ-მოაბნია. პოლიციამ ბრბო იარაღით განფანტა. ახალგაზდა ოსმალოთა მიერ წაქეზებული მცხოვრებნი ძალიან ჰღელავენ. ოსმალეთის ჯარის კაცთ უნდოდათ ელჩების გემზე გადასვლისთვის ხელი შეეშალათ. იგინი ღამე გემ „ბიზანიოზე" ავიდნენ, რომელმაც მალტას მოიყვანა.

ქრისტიანეთა დარბევისა ეფიქრებათ.

**ბერლინი.** აქ მყოფი ახალგაზდა ოსმალოთა მეთაური სამხედრო ატაშე ენგერბეი სტამბოლს გაემგზავრა.

**სტამბოლი.** ძველ მინისტრებს ახალ კაბინეთის შედგენამდე უფლება აქვთ. პორტას სჯერა, ჯერ კიდევ შესაძლებელია ომის შეჩერებაო. ეს ომი ოსმალეთს არ გამოუწვევია, იგი სახელმწიფოთა მშვიდობის მოყვარეობას მიმართავს და სთხოვს იტალიას მშვიდობიანობა ურჩიოს. ოსმალეთი შესათანხმებლად მზადაა, რადგან უსარგებლო სისხლის ღვრას ერიდება. ტრიპოლის ტელეგრაფი იტალიელთ ჩაიგდეს ხელში.

პრესა აღელვებულია, თუმცა მცხოვრებთ წესიერებას ურჩევს.

**ლონდონი.** ბომბეის ნაგუბერნატორალი ლამინგტონი დაჰპირდა, იმ კრების თავჯდომარედ ვიქნები, რომელსაც ოსმალეთის მეგობრობა და თანაგრძნობა განუზრახავსო. დემონსტრაცია „მაჰმადიანობა, ძმობა, პროგრესის" პრეზიდენტის მიერ იმართება.

ინგლისის გაზეთები ერთხმად ჰგმობენ იტალიას და ამბობენ; სახელმწიფოები უნდა ჩაერიონ საქმეში და უთანხმოება მოსპონო.

**პარიზი.** „ტანი" და „ჟურნალ-დე-დება" მწუხარებას ღალადებენ, იტალია აბობოქრდაო. იმედია, საფრანგეთი გარეშე მაყურებლად დარჩებაო.

**რომი.** „მესაჯერო" იტყობინება, ოსმალეთის გემი „დერეა" ტრიპოლში დაატყვევეს „ეკიპაჟს" წინააღმდეგობა არ გაუწევია. იტალიის მრავალ ქალაქში პატრიოტული მანიფესტაციები იმართება.

18 სექტემბერი.

**რომი.** საზღვაო სამინისტროს ცნობით, ნაღმოსანმა „არტილერიე" და „კორაცციერემ" ოსმალოს ორი ნაღმოსანი ჩაძირა. „კორაცციერე" ნაღმოსანმა „ალპინომ" დაიჭირა გემი ბერძენთა რაზმითურთ, რომელსაც პრევეზიში შესვლა უნდოდა. იქვე დაიჭირეს ოსმალოს 6 ოფიცერი, 162 ჯარისკაცი და დიდძალი სურსათი. ოსმალეთის საელჩოს განცხადება მოჰხსნეს. შენობაში მხოლოდ ერთი მეკარედა არის. ელჩი ვენას წავიდა.

**მალტა.** ტრიპოლის ევროპიელები შიშმა აიტანა. ისინი ქონებასა და ოჯახს სტოვებენ და ინგლისის გემებზე გარბიან. ბრიტანიის კრეისერი „ბერგენი", რომელიც არაჩნჩას წავიდა, მალტას დაბრუნდა და ნახშირი მოიტანა. მალტის მთელს ესკადრას ებრძანა, ნახშირით დატვირთეთო.

**სალონიკი.** „ერთობისა და პროგრესის" კომიტეტმა მოწოდება დაჰგზავნა, იტალიის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადეთო. იტალიელი აფიცრები, მასწავლებლები და ვაჭრები ოჯახებითურთ გარბიან.

**სტამბოლი.** ოტომანის სააგენტომ წუხელის ტრიპოლიდან გამოგზავნილი დეპეშა გამოაქვეყნა. ალყა გრძელდება. ჯარი ჯერ არ გადასულა. არხიპელაგში პორტის ბრძანებისამებრ, ყველა სანთური ჩამქრალია. რუმინიის გემით იტალიის საელჩოს ერთი ნაწილი კონსტანცს გაემგზავრა. ახლა მომხდარმა ამბავმა და გერმანიის მიერ იტალიელების დაცვის კისრად ღებამ ოსმალეთი დაარწმუნა, გერმანიამ იტალიის განზრახვა იცოდაო. ყველა ზომა რომელიც კი მთავრობამ მიიღო, იტალიის მხრივ მოულოდნელ რამის ჩადენის წინააღმდეგ იყო მიმართული მშვიდობიანობის დასაცავადაო.

ბრძანება გასცეს, 1899, 1900 და 1901 წლის სათადარიგო ჯარისკაცნი უნდა შეგროვდნენო.

იანინის ვალი იტყობინება, საბერძნეთი საზღვართან ჯარს აგროვებსო.

**პარიზი.** ტრიპოლიდან „ჰავასს" ატყობინებენ, იტალიის ესკადრამ 11 ნახევარ საათზე ქალაქს სროლა დაუწყოო.

**სტამბოლი.** აქ მყოფ დეპუტატებს კრება ჰქონდათ. სულთანს დეპუტატები გაუგზავნეს, პარლამენტი მოიწვიეო. მათის ცნობით, სულთანს აღუთქვამს, ბრძანებას გავცემ, პარლამენტი საჩქაროდ მოიწვიონო.

ოსმალეთის ფლოტი სად არის, არ იციან. ჰფიქრობენ, როდოსის ახლოაო. არხიპელაგის კუნძულის გუბერნატორებს ებრძანა, ფლოტს ომის გამოცხადება შეატყობინეთო.

იანინის ვალი დეპეშით იტყობინება, იტალიის გემები, ორი ჩვენი ნაღმოსანი რომ ჩაძირეს, კუნძულ აია მავრისკენ წავიდნენო. დღეს ისინი დაბრუნდნენ და ჯარი გადმოსხეს პრევეზს. ამავე დროს ესკადრამ ზარბაზანი დაუშინა პრევეზს. ვალიმ მცხოვრებთ გამოუცხადა, რედიფები დაიბარეთო და ლორისს ორი ბატალიონი გაგზავნა. კერძო ცნობებია, პრევეზი იტალიელებმა უკვე აიღესო. ნაღმოსანი „ჰამიდებატი" და „აალპაგოტი" იტალიელებმა ჩაძირეს. კრეისერი „მესსუდიე" ზღვაზე გავიდა. მას საიდუმლო ბრძანება აქვს.

აქაურმა სტუდენტებმა პარიზისა და ლონდონისას იტალიის წინააღმდეგ პროტესტი გაუგზავნეს. საიდ-ფაშამ ცირკულიარით პროვინციის მოხელეებს აცნობა, კონსტიტუცია დაიცვით და იტალიელებს არა ავნოთ რაო.

**რომი.** „სტეფანი" ამბობს, ტყუილია, ვითომ კრეისერი „პიზა" გარიყულისო.

**პორტ-საიდი.** ბრიტანიის კრეისერი „ჰედდა" მოვიდა.

**პარიზი.** იტალიის ელჩმა მთავრობას შეატყობინა, ოსმალეთსა და იტალიის დიპლომატიური მოლაპარაკება გათავდაო. „ჟურნალ-ოფისიელმა" განაცხადა, საფრანგეთმა გადასწყვიტა, ნეიტრალიტეტი დაიცვასო.

**პარიზი.** „ჰავასსს" ტრიპოლიდან ატყობინებენ, 17 სექტემბერს, დილით დაწყებული სროლა ჩქარა შესწყდა. ოსმალონი ტრიპოლიდან მიდიან, ამ კუთხის შუაგულში გამაგრებას ჰფიქრობენ.

**რომი.** „სტეფანი" იტყობინება, იტალიის მთავრობა ბალკანეთში ოსმალეთთან ომის დროს სტატუს-ქვოს დაიცავსო.

**სტამბოლი.** სმირნაში, ელჩების წასვლის შემდეგ, იტალიის საელჩო აიკლეს.

**ბუდაპეშტი.** ძველი ლიბერალი „ბუდაპესტი ხირლაპი" სწერს: იტალიას ვერთგულობთ და ჩვენს ინტერესებს ვღალატობთო. ავსტრია, პრუსიას შლეზვიგისა და გოლშტინიის აღებაში რომ დაეხმარა, კენიგგრეცი მოიმხადა. ეხლა იტალიასა ვშველით, თუმცა იტალია უფრო გაგვისწორდება, ვიდრე ვფიქრობთ. ვენის დიპლომატია უხერხულ მდგომარეობაშია, რადგან სამთა კავშირი ჰფარავს იტალიის გამოლაშქრებას. უნგრეთის თანაგრძნობა ოსმალეთისკენ აუნდა იყოს მიმართული.

**ათინა** ბერძნების ჯარის მობილიზაციის თაობაზე გავრცელებული ხმა მთავრობამ უარჰყო.

**რომი.** მთავრობამ ტრიპოლიში ორი გემი გაგზავნა ევროპიელების წამოსაყვანად.

**სალონიკი.** იტალიის რამდენიმე პატარა გემი დაიჭირეს. ახალგაზდა ოსმალთა კონგრესი გაიხსნა, რომელსაც საიდუმლო კრებები აქვს.

# უთანხმოება
## ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

ამ სათაურით გაზეთ „რეჩ"-ის № 220-ში ამას წინად დაბეჭდილი იყო ერთი წერილი ვენიდან. რადგან მკითხველისათვის ეს წერილი უმნიშვნელო არ არის მოგვყავს მისი შინაარსი.

„ფრიად აჭრელებულია ავსტრიაში პოლიტიკურ ძალთა და პარლამენტარულ ჯგუფთა მდგომარეობა. პოლიტიკური პარტიები და ნაციონალური კლუბები ზედი-ზედ ერთი მეორის ადგილს იჭერენ. პარტიებშიაც, კლუბებშიაც საკმაოდ ემჩნევა ნაციონალურ და სოციალურ ელემენტთა აღრევა.

პოლიტიკურ მიმდინარეობათა კორიანტელში ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ბოლონდელი ევოლუცია სახელმწიფოებრივ ცხოვრების უდიდეს, მნიშვნელოვან ფაქტად ხდება. თუმცა ავსტრიის პოლიტიკური ცხოვრება მრავალფეროვანი იყო, მაგრამ ამ პარტიამ მოახერხა სოციალურ-პოლიტიკური მთლიანობის დაცვა, იმ აუცილებლობის მიუხედავად, რომ ყოველი ნაციონალური ჯგუფი, რომელიც პარტიაში შედიოდა, შინაურ საქმეებში „ავტონომიით" სარგებლობდა.

შედარებით ჯერ კიდევ ეხლახანს, შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე, 1907 წელს, პარტიის მეთაურს ვიქტორ ადლერს საბუთი ჰქონდა ეთქვა: „ავსტრიის სოციალ-დემოკრატია წარმოადგენს ერთს მთლიანს პარტიას საერთო პროგრამით, ტაქტიკით, მმართველობით და საერთო პარლამენტარულ ფრაქციით. მაგრამ ავსტრიის მცხოვრებთა მრავალფეროვნობის მიხედვით პარტია ნაციონალურ ჯგუფებადაა დაყოფილი, რომელთაგან თვითეული თავის შინაურ საქმეებსა და მოქმედებაში სრულიად ავტონომიური და დამოუკიდებელია".

მაგრამ... მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები მედიდურად იქმნა წარმოთქმული, რაღაც $3^1/_2$ წელმა გაიარა და ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის, დღევანდლამდე მართლაც მთლიანი, სურათი შეიცვალა.

საქმე იმით დაიწყო, რომ ჩეხელი „სეპარატისტები" შეეცადნენ დამოუკიდებელი „ჩეხ-სლავიანთა" საპროფესიო კავშირები დაეარსებინათ. ეს მათი სურვილი დაჰგმო არა მარტო ავსტრიის გერმანელთა სოციალ-დემოკრატიამ, არამედ მთელმა ინტერნაციონალმაც. გარნა ამ დაგმობამ არავითარი პრაქტიკული ნაყოფი არ მოიტანა.

კოპენჰაგენის უკანასკნელ ინტერნაციონალურ სოციალისტურ კონგრესის შემდეგ, რომელზედაც ერთხმად იყო შეტანილი რეზოლუცია—დაიგმოთ ჩეხელ სეპარატისტთა სურვილი, სეპარატისტული მოძრაობა ჩეხის პროლეტარიატის შორის, მეტადრე ბოჰემიაში, გაცხოველდა, ფეხი მოიკიდა. მაგრამ საქმე ამით როდი გათავდა. მოხდა ის, რისაც ყველაზე მეტად ეშინოდათ გერმანელ სოციალ-დემოკრატებს: სეპარატიზმი შეიპარა ქვემო ავსტრიაში, თვით ვენაში. ჩნდებიან ცალ-ცალკე ჩეხთა საპროფესიო კავშირები წმინდა გერმანულ ადგილებში, ჩეხთა უმცირესობისა და სხვათა შორის კალატოზთა და ლითონის ჩამომსხმელ მუშებში, რომელნიც ძველი დროიდან დღევანდლამდე ცნობილნი იყვნენ, როგორც ერთგული დამცველნი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალისტურ მცნებათა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის უთანხმოებამ გამოიწვია განხეთქილება მის შემადგენელ ნაწილებშიაც. მაგალითად, ჩეხის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. „სეპარატისტების" დიდს უმრავლესობას, რომელნიც „ჩეხ-სლავიანთა" სოც. დემოკრატიულ პარტიის ძველის სახელით განაგრძობენ არსებობას, ჩამოშორდა „ცენტრალისტებისვე" პატარა ჯგუფი. ამ ჯგუფმა დაარსა ახალი „ჩეხთა" (და არა „ჩეხ-სლავიანთა") სოციალ-დემოკრატიული პარტია.

ჩეხების სულისკვეთება დღეს-დღეობით ისეთია, რომ ნაციონალურ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას იმაზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს მათთვის, რაც ბრძოლას ეკონომიურსა და პოლიტიკურს. ახალმა პარტიამ ვერც ჩეხის პროლეტარიატის, ვერც ჩეხის ხალხის თანაგრძნობა ვერ მოიპოვა. ამის საუკეთესო მაჩვენებელი რეიხსტრატის უკანასკნელი არჩევნებია. არჩევნების დროს ფიქრობდნენ, ჩეხის სოციალ-დემოკრატია სრულიად დამარცხდებაო, რადგანაც შიგ ისეთი განხეთქილება სუფევდა. სწორედ ეს გარემოება დაიხვია ხელზე გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ სეპარატიზმის დასაგმობად. ნამდვილად კი საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. ჩეხის სოციალ-დემოკრატია გამოვიდა ახალ პარლამენტში 25 დეპუტატით, ნაცვლად 23 დეპუტატისა. ღირსშესანიშნავი უფრო ისაა, რომ არჩეულთაგან ყველანი სეპარატისტები არიან; ერთი ჩეხელი ცენტრალისტიც არ მოჰყვა პარლამენტში. მეორეს მხრივ განსაცვიფრებელია არჩევნების შედეგი ბოჰემიის და მორავიის გერმანულ ოლქებში.

ბოჰემიაში გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა შვიდი ადგილი დაჰკარგეს, მორავიაში კი—1907 წელს მოპოვებული სამივე ადგილი. ბოჰემიაში და მორავიაში გერმანელ სოციალ-დემოკრატიის ასეთმა დამარცხებამ ყველანი დააფიქრა. ცენტრალისტებიც კი (მაგალ. სოც. დემოკრატი ზელიგერი) ამ დამარცხებას იმით ხსნიან, რომ ბოჰემიელნი და მორავიელნი უკმაყოფილონი იყვნენ იმ ნაციონალურ სულისკვეთებისა, რომელიც გერმანელ სოციალ-დემოკრატთა შორის სუფევდა.

ბოჰემიაში და მორავიაში მცხოვრები გერმანელობა, გერმანელი სოციალ-დემოკრატებს უთითებდნენ ჩეხელ სეპარატისტებზე, რომელნიც ისე თავგამოდებით იცავდნენ ჩეხთა ნაციონალურ ინტერესებს, და რადგანაც უკმაყოფილონი იყვნენ თავიანთ გერმანელ Genossen-ებით, რომელნიც ნაციონალურ გრძნობას მოკლებულნი იყვნენ, ხმა მათს წინააღმდეგ მისცეს.

გარეგნულად ეს განხეთქილება ავსტრიის სოც. დემოკრატიულ პარტიისა ნათლად გამოიხატა იმაში, რომ ახალ პარლამენტში ნაცვლად ერთ მთლიან სოც. დემოკრატიულ კავშირისა, ორი სოციალ-დემოკრატიული კლუბი დაარსდა—გერმანელთა და ჩეხთა. ამასთან დამახასიათებელია ისიც, რომ გერმანულ კლუბის გარშემო შემოიკრიბნენ პოლონელი და იტალიელი სოციალ-დემოკრატები, ხოლო ჩეხთა კლუბისაკენ მიიწევენ სლოვიანთა და რუსინთა სოციალ-დემოკრატები. ერთის სიტყვით, მეტად საეჭვოა, რომ მკვიდრი იყვეს დღევანდელი თანაარსობა გერმანელ, პოლონელ, იტალიელ სოც. დემოკრატებისა ცალკე ჩეხელ, სლოვენთა, რუსინთა სოც. დემოკრატებთან. სოციალისტურ ჯგუფთა დღევანდელი მდგომარეობა ავსტრიის სახელმწიფოში თანამედროვე ნაციონალურ ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებულ ბურჟუაზიულ პარტიების დარაზმვას მოგაგონებთ. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის განხეთქილებას მხოლოდ ადგილობრივი, პარტიული, მნიშვნელობა როდი აქვს.

დღემდე ავსტრიაში არსებობდა ორგვარი პოლიტიკური კავშირი პირველი ტიპის კავშირი აერთებს ყველა პოლიტიკურ ელემენტებს ერთ ნაციონალურ კავშირად ისე, როგორც სლავიანთა უნია. მეორე კავშირი კი აერთებს ყველა ერონებათა ერთგვარ პოლიტიკურ ელემენტთ სოციალ-დემოკრატიულ კავშირის სახით. აქნობამდე ფიქრობდნენ, რომ ეს უკანასკნელი კავშირი უფრო პატივსადები, მიზნის შესაფერი იყო.

ეხლა კი, თუ სრულიად არ ჰქარწყლდება რწმენა ასეთი კავშირის უნაკლულობისა, საგრძნობლად მაინც ირყევა. **ხან-განი-ძე.**

# მაროკოს საქმე

დ ე პ ე შ ე ბ ი.

**პარიზი.** დესპანმა ბერლინში კამბონს ზოგიერთი შენიშვნა გადასცა მაროკოს საქმის თაობაზე. საფრანგეთის სამართლებში ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდნენ. გერმანია რკინის გზის კონცესიებს თხოულობს. იმედია, მოლაპარაკება ჩქარა გათავდება.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭომ მოიწონა ინსტრუქციები, რომლებიც კამბონს მაროკოს მოლაპარაკებისთვის მისცეს.

**პარიზი.** „ჰავასი" იტყობინება, მინისტრთა საბჭომ მშვიდობიანობის სიყვარულით იხელმძღვანელა და ზოგიერთ ცვლილებას დასთანხმდა. საფრანგეთი ძალიან სცდილობს შეთანხმებას, ახალ-ახალ დათმობებს ეძებს, მაგრამ პრინციპის წინააღმდეგობაა იურისდიქციის თაობაზე. მაინც ჰფიქრობენ, მაროკოს მოლაპარაკება ჩქარა გათავდებაო.

# კახეთში მოგზაურობა არქეოლოგიურის მიზნით

(წერილი რედაქციის მიმართ)

ქართლში მოგზაურობის შემდეგ ჩვენ გავემგზავრენით კახეთს. აზრად გვქონდა აქაც მოგვეკრიფა ძველი

ხელთნაწერები, სიგელ - გუჯრები, პორტრეტები და ყოველგვარი საისტორიო და საეთნოგრაფიო ნივთები ქართულის მუზეუმისათვის.

კახელებმა ქართლელებსავით ძლიერ თავაზიანად მიგვიღეს და დიდი თანაგრძნობა გამოიჩინეს. ყველას შეეგნო ქართული მუზეუმის მნიშვნელობა და იშვიათად თუ დაიშურა ვინმემ რომელიმე ნივთი მუზეუმისათვის. პირიქით, ბევრს წინდაწინვე შეეტყო ჩვენის მოგზაურობის მიზეზი, დაემზადებინა რაც ნივთები და ქაღალდები ჰქონოდა და დღე-და-დღე ელოდა ჩვენს მოსვლას რომ მიებარებინა შეგროვილი ნივთები.

სამუზეუმო ნივთების შეძენის გარდა საგნად გვქონდა დაგვეთვალიერებინა მთა-ზეგნებში დარჩენილის მონასტრების და ეკლესიების ნანგრევები, რომელნიც საარქეოლოგიო ლიტერატურაში ცნობილნი არ არიან და რომელნიც თავიანთის აგებულობით ძრიელ საინტერესონი აღმოჩნდნენ. ამ შემთხვევაშიაც კახელებმა ჩვეულებრივი თავაზიანობა გამოიჩინეს, ხელი შეგვიწყვეს და გაგვიადვილეს იმ საისტორიო ნაშთებთანა მისვლა და დათვალიერება.

ამიტომ ჩვენს თავს მოვალედ ვრაცხთ გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ყველას, ვინც ამისთანა დახმარება აღმოგვიჩინა და ბოდიშს ვიხდით რომ მათის სიმრავლის გამო თვითეულის სახელსა და გვარს ვერ ვიხსენიებთ. უმეტესად მადლიერნი ვართ იმათი, ვინც თავიანთი ნივთები არ დაიშურეს და ჩვენს ბიბლიოთეკასა და მუზეუმს შემოსწირეს. ესენი არიან:

იასე თორნიკეს ძე ანდრონიკაშვილი, ს. კაჰრეთში, რომელმაც გადმოგვცა: 36 სიგელი, შუბი და ხმალი.

კნ. ნადეჟდა დიმიტრის ასული ანდრონიკაშვილისა, კოდალოში, რომელმაც გადმოგვცა: ფერადებით ნახატი პორტრეტები ივანე მალხაზის ძის ანდრონიკაშვილისა და მისის დედის მარიამ ბატონიშვილის, სოლომონ მეფის ასულისა, ძველი დაბეჭდილი წიგნები და ბეჭედი.

კნ. თინათინ თომას ასული ანდრონიკაშვილისა, მელაანში, რომელმაც გადმოგვცა: გაყრილობის ქაღალდები, ხელთნაწერი სახარება, ჯვარი მინისა, ორი სურათი ფერადებით ნახატი სპარსულის ქალისა და ვაჟისა, ორი შუბი, დამბაჩა, თოფი და დროშა ქიზიყის მოურავისა პაპუა ანდრონიკაშვილისა.

დავით ილიას ძე ანდრონიკაშვილი, ფხოველში, რომელმაც გადმოგვცა: თათრული ფირმანები, ხელნაწერის ნაწყვეტები და ზამბულაკი.

დავით ზურაბის ძე ანდრონიკაშვილი, იქვე ფხოველში, რომელმაც გადმოგვცა რვა სიგელი.

რევაზ ქაიხოსროს ძე გაჩნაძე, ბაკურციხეში, რომელმაც გადმოგვცა 81 სიგელი და პატარა ტანის ლოცვანი.

დავით კონსტანტინეს ძე ჩოლოყაშვილი, იქვე ბაკურციხეში, ალექსანდრე ჩოლოყაშვილის ფერადებით ნახატი პორტრეტი.

კნ. ნინო სოლომონის ასული ანდრონიკაშვილისა, იქვე ბაკურციხეში, რომელმაც გადმოგვცა: თავისი პორტრეტი, ხის პანღია ჩუქურთმიანი, შემოკლებული სადღესასწაულო წესები დაბეჭდილი 1811 წ., და ხატები: იოანე ნათლისმცემელისა, იოანე მახარობელისა და მაცხოვრისა.

სვიმონ სვიმონის ძე გაჩნაძე, ბაკურციხეში, რომელმაც გადმოგვცა: ხელთნაწერი ლოცვანი პატარა ტანისა და ჯამის ნატეხები.

ივანე და დავით ილიას ძენი და ქეთევან კონსტანტის ასული აფხაზები, კარდანახში, რომელთაც გადმოგვცეს ხელთნაწერები: ხრონოგრაფი არჩილ მეფის ნათარგმნი, ვისრამიანი, ლოცვანი, სამკურნალო ფრინველთა და სიმღერნი ანტონ კათოლიკოზისა სანაწილე სპილენძისა მინანქრიანი, დოლის პირი ოქრომკედით ნაკერი, ყაჯარი ნაკერი, ქალის სარტყელი ოქრომკედით ნაკერი და მძივით ნაკერი, თავსაკრავი, ფაფანაკი ოქრომკედით ნაკერი, თეფში ფაიფურისა, დამბაჩა, ზამბულაკი და საპირისწამლე.

კნ. ნინო ათანასის ასული გაჩნაძისა, კარდანახში, რომელმაც გადმოგვცა რვა სიგელი.

კნ. ელისაბედ ყარამანის ასული გაჩნაძისა, კარდანახში, რომელმაც გადმოგვცა ხელთნაწერ ყარამანიანი, სამზარეულო, სიბრძნე-სიცრუე და ღვთისმშობლის მიცვალება.

ივანე გიორგის ძე გაჩნაძე მღვდელი, კარდანახში, რომელთაც გადმოგვცეს ნაქარგის ნიმუშები, თავის ტკივილის ქუდი და ქირმანის შალი.

კონსტანტინე დავითის ძე გაჩნაძე, კოლაკში, რომელმაც გადმოგვცა 78 სიგელი.

ვლადიმერ ვაჟაპნის ძე გაჩნაძე, კოლაკში, რომელმაც გადმოგვცა სიგელები, ლოცვანი ხელთნაწერი, ლოცვანი დაბეჭდილი 1795 წ., ჟამნი და თთვენი ქუთაისში დაბეჭდილი 1808 წელს.

კნ. ოლიმპიადა ალექსანდრეს ასული გაჩნაძისა, კოლაკში, რომელმაც გადმოგვცა პორტრეტი გრიგოლ თუმანოვისა მანუჩარ მდივნის შვილისა, პორტრეტები ძმათა არზას და არტემის არტემის ტერ-ღუკასოვებისა, ორი პატარა ბოხჩა აბრეშუმისა, სადაფი უმარილისათვის ვერცხლით მოჭედილი, თმის გასაყოფი ჩხირი ვერცხლისა, ქისა ოქრომკედით ნაკერი, მძივით ნაკერი სახეები, ქალის წვივსაკრავი მძივით ნაკერი, ქისა მიხაკის ძირისა და ფერადები.

ზაქარია ილიას ძე აბაშიძე და კნ. ანა იოსების ასული აბაშიძისა, ვეჯინში, რომელთაც გადმოგვცეს 103 სიგელი, თათრული ფირმანი, სამაჯური ბრინჯაოსი და 4 ქართული თეთრი ფული.

გრიგოლ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი, ვეჯინში, რომელმაც გადმოგვცა 3 სიგელი და ხატის ბუდე.

კნ. ქეთევან გიორგის ასული ჩოლოყაშვილისა, გურჯაანში, რომელმაც გადმოგვცა 1 თეთრი ფული სომხური, 2 თეფში და 1 სასუფე ერეკლე მეფის ნაქონი, ვერცხლის კოვზი მარიამ ბატონის რძლისა, და ხელნაწერი ღვთისმშობლის მიცვალება.

მღვდელი იოსებ ახალშენიშვილი, გურჯაანში, რომელმაც გადმოგვცა ხელთნაწერები: სახარება პატარა ტანისა, ვახუშტის ისტორია, ხოლერისაგან ტირილი და ლოცვები იონა ხელაშვილისა, ბრინჯაოს ლახტი და სპილენძის პურქელი.

გიორგი პეტრეს ძე სარაჯიშვილი, გურჯაანში, რომელმაც გადმოგვცა 1 თეთრი და 4 შავი ფული.

კნ. მარიამ დავითის ძე ანდრონიკაშვილისა, გურჯაანში, რომელმაც გადმოგვცა თეფში ერეკლე მეფის ნაქონი, ხატი ქრისტეს შობისა სადაფზე დახატული, ჯვარი ბზისა ზედ ამოჭრილის ჯვარცმით, „ლახვრის ხელი" (ხატი მშობიარობის გამაადვილებელი) და 3 თეთრი ფული.

მღ. გიორგი წიბაძე, გურჯაანში, რომელმაც გადმოგვცა ფერადებით ნახატი პორტრეტი ივანე წიბალოვისა თეიმურაზ ბატონიშვილის მხლებელისა პეტერბურგს, ხელთნაწერი კარაბადინი, თთვენის ნაწყვეტი, ღვთისმშობლის მიცვალების ნაწყვეტი, დაბეჭდილი სახარება და ლოცვანი და შემოკლებული სადღესასწაულო და ერთი შავი ფული.

დიაკვანი წიბაძე, რომელმაც გადმოგვცა ხელთნაწერი დავითნი.

ზაქარია ასლანის ძე აგალიშვილი, ჩუმლაყში, რომელმაც გადმოგვცა რამდენიმე სიგელი.

მიხეილ ალექსანდრეს ძე გიგომურელი, ახაშენში, რომელმაც გადმოგვცა 7 თეთრი და 6 შავი ფული, ქილა თიხისა, ბრინჯაოს სატევარი, შუბის პირი სამაჯური, ნაჯახი, კავი და სინის ნაჭრები, 8 სიგელი, წმ. ნინოს ხატი და ხატის ქვეშ დასაგები ნაქსოვი.

მღ. ისიდორე გიხვიშვილი, ახაშენში, რომელმაც გადმოგვცა გადასაფარებელი ყაისნაღით ნაკერი.

ილია იოსების ძე ანდრონიკაშვილი. ახაშენში, რომელმაც გადმოგვცა სამოციქულო დაბეჭდილი 1765 წ. ტფილისში.

იოსებ ილიას ძე ჯანდიერი, ვაჩნაძიანში, რომელმაც გადმოგვცა 7 სიგელი და ქალის გულისპირი.

ნინო ივანეს ასული ჯანდიერისა, ვაჩნაძიანში, რომელმაც გადმოგვცა „გველის თვალი" (გველის ნაკბენის წამალი) 1 შავი ფული, გულის პირი თავსაკრავი და მძივით ნაკერი არშია.

ვლადიმერ ივანეს ძე ჯანდიერი, ვაჩნაძიანში, რომელმაც გადმოგვცა სამი ფერადებით ნახატი პორტრეტი ივანე და გიორგი პაატას ძეთა ჯანდიერებისა.

დავით დიმიტრის ძე ჯანდიერი, ვაჩნაძიანში, რომელმაც გადმოგვცა ხელთნაწერი ვეფხის-ტყაოსანი.

კნ. სალომე ჯანდიერისა, ვაჩნაძიანში, რომელმაც გადმოგვცა ციხის შაშხანი.

მაქსიმილიანე ზაქარიას ძე ჭავჭავაძე, წინანდალში, ფერადებით ნახატი პორტრეტი ზაქარია გულბაათის ძის ჭავჭავაძისა.

კნ. ნინო ალიზბარის ასული ქობულაშვილისა, კისისხევში, რომელმაც გადმოგვცა ფერადებით ნახატი პორტრეტი ალექსანდრე (პუპლია) ვახტანგის ძის ორბელიანისა პატარობისას, ოთხი ფოტოგრაფიული პორტრეტი სხვა და სხვა პირთა, მიწერ-მოწერა ფეკლე ბატონიშვილისა, ხელთნაწერები: წმიდათა მამათა ეპისტოლენი, შემოკლებული მეტაფრასი, წესი ეპისკოპოსის კურთხევისა, თთვენის სარჩევი ლოცვანითურთ, და ყარამანიანის ნაწყვეტი, დაბეჭდილი წიგნები: ქართული გრამატიკა და იოანე დამასკელის სწავლანი, და მღვდლის სამუხრე აბრეშუმით ნაკერი.

იოსებ და სოლომონ ანდრიას ძენი ქობულაშვილები, კისისხევში, რომელთაც გადმოგვცეს ორი კათხა და ჩინური მახვილი თავის მოსაკვეთი.

ნინო ივანეს ასული როსტომაშვილისა, თელავში, რომელმაც გადმოგვცა ფერადებით ნახატი პორტრეტი კათალიკოსის ანტონ მეორისა

კნ. ელისაბედ რევაზის ასული გახვახიშვილისა, თელავში, რომელმაც გადმოგვცა სამების ხატი ვერცხლით შეჭედილი

კნ. ქეთევან ივანეს ასული რუსიშვილისა, თელავში, რომელმაც გადმოგვცა ხელთნაწერები: წმ. მამათა წამებანი და ცხოვრებანი, მილორდიანი, წიგნი სიბრძნე-სიცრუისა, ვეფხის-ტყაოსანი და რძალ-დედამთილიანი, წიგნი თანამდებობისათვის სამრევლოთა მღვდელთასა, დაბეჭდილი 1861 წ., ორი ნაკერი თავსაკრავი და ოქრომკედით ნაკერი შეიდიში.

თორამ იოსების ძე ჯორჯაძე, საბუეში, რომელმაც გადმოგვცა ხელთნაწერი როსტომიანი, 30 სიგელი, ხმალი, დამბაჩა, საუმარილეს ვერცხლის მოჭედილობა.

(დასასრული იქნება)

# დეპეშები

(პეტერბ. ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

17 და 18 სექტემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**ჩიკაგო.** კარიმენისა და ილინოის რკინის გზის 35000 მსახური გაიფიცა.

**სტოკჰოლმი.** ლინდმანის სამინისტრომ სამსახურიდან გადადგომა ითხოვა.

**ლონდონი.** სამუშაოს მიმცემთა და მუშათა კონფერენცია დამარცხდა. გაფიცვის უშინაობით. მეხომალდენი სცდილობენ ნახშირის თადარიგი გაზიდონ.

**ბუხარესტი.** რუსეთის ესკადრას რუმინიის მთავრობა საზეიმო სროლით შეხვდა.

**თეირანი.** სალარ-დოულეს და მთავრობის ჯარის ბრძოლა მოხდა. ბაკადურისა და მორტაშიმის ბახტიარებმა ნაზარ-ალი-ხანის ქურთები დაამარცხეს. 200 კაცი მოუკლეს და 2 ზარბაზანი წაართვეს. სალარ-დოულეს მდევრად მთავრობის ჯარიდან 1000 მხედარი გამოარჩიეს.

**ანტვერპენი.** ქარიშხალი გამოშინდა ნავსადგურში და მდაზიებს წაიღო. ტრამვაის მიმოსვლა შეწყვეტილია.

**დუბლინი** მებუღეებს გაფიცვა ქალაქს სიმშილს უქადის. ზოგიერთგან ბრბომ პურით დატვირთული ურმები გაძარცვა.

**რ უ ს ე თ ი.**

**იარანსკი.** საშინელი ხანძარი მოხდა. ეკლესია, სასწავლებელი, 140 სახლი და ბევრი საქონელი დაიწვა.

**ტომსკი.** ქალაქ ტაიგაში ორი დუქანი გაძარცვეს. სროლის დროს ერთი ყაჩაღი დაიჭრა.

**პეტერბურგი.** სამხედრო მინისტრი საზღვარ გარეთიდან დაბრუნდა.



# განცხადებანი

## დოქტ. ნაკაშიძე ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირების გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აგეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერშაცი:** 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. მ. მელიქ-ავა-ენგელი:** 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. გარცინევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ. (1168—135)

## ექიმი მ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანიშვილისა.

მუხრანის ხიდთან

## სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.

**გ. მ. გოგობერიძე**—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.

**მ. კ. ითხელიანი**—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევ. რიდან 11 ს.

**მ. ლ. შტრეიხერი**—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.

**ლ. გ. ხაყვერელიძე**—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.

**აბშილო**—შინაგან, 1—2 ს.-დე.

**გ. ბ. მელქონიანი**—ქირურგ., 12—1 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგ. 11—12 ს.-დე.

**გ. ა. ახვერდოვი**—შინაგან, 12 ნახ. —1 ნახ. ს.-დე.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. 12 ნახ. —1 ს.-დე.

ჰიდ.შიში—კბილისა, 8—10 ს.-დე.

**ლ. მ. მონინი**—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ მორიგებით.

№ 646. 100—50 (0—1003—144

სამკურნალო კაბინეტი

## ექიმ პ. ს. ფონ-ირეტელისა

(ელისაბედის ქ., № 17, ცირკოვნი მისახვევის პირდაპირ).

სპეციალისტი-ქირურგი (სიმსივნისა), საშარდე ბუშტისა, მილისა, თირკმელებისა და სასქესო ორგანოთა (უღონობა, ნერვიული სისუსტე, ჩუგუნების შედეგი), ათაშანგისა და მის შედეგთა, (ერლიხის „6 0 6"-ის სმარებით და ბერლინის კლინიკათა სხვა საშუალებით), ვენერიულ ავადმყოფობათა (სუსუნატისა და მილის დავიწროვების წამლობა), კანის სნეულებათა წამლობა ელექტრონით და ოპერაციები.

ავადმყოფთა მიღება დილის 9—12 საათამდე და საღამოს 5—8 ნახ. საათამდე. ქალთათვის ნაშუადღევის 2—3 საათამდე. (25.1505.4)

## გამოცდილი მასწავლებელი

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის პირობებით: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის სარისხზე. ყველა კლასის ჩინისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შევსებულდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 28, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. (თ.—1084—31)

## საბუღალტერო კურსები

გ. და მ. ტერ-დავიდოვებისა. ნიკოლოზის ქ., N 36, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.
კანცელარია ღიაა საღამოს 4—6 ს
სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. (25.781.19)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

# იყიდება შემდეგი წიგნები:

| | |
| --- | --- |
| თხ. არჩ. ჯორჯაძისა: | წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო", . . . . ფ. 75 კ. |
| " " | წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა" . . . . . . . ფ. 80 კ. |
| Bato n-ისა: | „ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით" ფ. 1 მ. 20 კ. |
| მ. ყიფიანისა: | «სამეგრელოს მთავარი ლევან», 4 მოქმ. დრამა . . . . ფ. 40 კ. |
| შიუკაშვილისა: | «მეგობრობა», 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ. |




(40—1465—6)

სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრეთ

## ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 9, ტელეფონი № 712,

✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ყოველ დღე ცხელი ლოში.

◀ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მ. 20 კ.

ახალი კეტოვი ხიზილალა

აგრეთვე მივიღეთ საუკეთესო ღირსების სელიოდკები სამეფო, დუნაისა, რიგი ა და ქერჩისა.

(წ—1052—)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საკომერციო ცოდნათა კურსები

ტ. მ. ფილოიანისა.

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფონი 976).

სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის.

კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა იხეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და პიგიეის (პარიზში), მეისტერ-ლაბორატორიში. მასალა რეალურ ცხოვრებიდან აიღება. საგნები: ა) სავალდებ.: 1. ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5. კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7. კალიგრაფია, სწორი წერა ხელის გაწვრთნა. ბ) არა სავალდებულო: 1. უცხო ენები. 2. სტენოგრაფია. 3. და კტილოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) და 4. კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან.

კურსების დამაარსებელი საკომერციო მეცნიერებათა კანდიდატი ტ. ფილოიანი.

(1—1444—1)